ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5301653

ნომერი: AR1784913

თარიღი : 28.10.2020

გაცემის თარიღი : 24.02.2021

გაცნობის თარიღი : 24.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 11 (ნაკ. N45/12);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე სიყმაშვილი პ/ნ 25001034820
- ლაგოდეხი ს. შრომა

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,პიკი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404927246
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნონა წერეთელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001048163

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ეკატერინე სიყმაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
-მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 19 მარტის N000295 მიტიტების მიხედვით ვინაიდან ასევე უნებართვოდ იქნა მოწყობილი ბაქანი და რკინის კონსტრუქციები, საჭიროა აღნიშნულ შესაბამისად იყოს ნაჩვენები ნახაზებში (ყველა ნახაზში და დოკუმენტაციაში). ასევე მოცემულ ნაწილში დეტალურად იქნას მითითებული ზომები და საჭიროების შემთხვევაში მოყვანილ იქნას კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
-სარდაფის ნახაზებზე სწორად იქნას დატანილი ღერძის ხაზები, ასევე ჭრილის ხაზები.
-ნახაზებზე საჭიროა მონიშნულ იქნას უნებართვოთ ჩატარებული სამუშაოები.
-ფოტოსურათების მიხედვით +3.40 ნიშნულზე განთავსებულია კიბის საფეხურები, შესაბამისად საჭიროა აღნიშნული ასახულ იქნას ასევე შესაბამის გეგმაზე.
-საკადასტრო საზღვრის გარეთ განთავსებულ ბაქანთან და რკინის კონსტრუქციებთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, ან მოხდეს აღნიშნულის მოხსნა.
2. .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: -სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. (მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი)
3. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: -საჭიროა წარმოდგენილ იქნას შორი ხედის მხრიდან გადაღებული ფოტოსურათი (სადაც სრულად იქნება ასახული მოცემული ბაქანი და რკინის კონსტრუქციები).
4. .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილ იქნას ყველა სამუშაოების ასახვით ფოტომონტაჟი, ზომების, ნიშნულების და ფერის კოდების დატანით.
5. წარმოდგენილ უნდა იქნეს მესაკუთრის - შპს „კაია გრუპის“ თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.